საქართველოს მთავრობის განკარგულება

№821 2016 წლის 16 მაისი ქ. თბილისი

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №699 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №699 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს დაემატოს შემდეგი შინაარსის ღონისძიებები:

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯავშანტექნიკის და საპატრულო მანქანების წარმოდგენა;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამახსოვრო ფოტოსტენდების წარმოდგენა;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
იმიტირებული ქალაქის დახაზვა, ახალგაზრდებისთვის ველოსიპედის საგამოცდო მოედნის მოწყობა და ველოსიპედებით უზრუნველყოფა;	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
სახანძრო მანქანის, ტექნიკისა და სამახსოვრო ფოტოსტენდის წარმოდგენა, საცოცი კედლისა და მოსასვენებელი სივრცის მოწყობა;	სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
დაცული სახლის შოურუმის, ეკომოპედის, ეკომობილისა და დაკავების მანქანის წარმოდგენა;	სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
„მომავლის სახლის“ წარმოდგენა (სსიპ - „112“-ის შენობის მსგავსად);	სსიპ - „112“

ვირტუალური ტირის; შსს არქივისთვის დოკუმენტური ფილმების გასაშვებად კინოთეატრის მოწყობა რეტროსტილში;	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
პირობითად ,,საზღვართან“ 2 ერთეული კვადროციკლის წარმოდგენა	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**